

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი
Batumi Art State University

სტუდენტთა VIII საერთაშორისო კონფერენცია
23 მაისი

პროგრამა

VIII International Student Conference
May 23

Program

ბათუმი 2025 Batumi

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი
Batumi Art State University

სტუდენტთა VIII საერთაშორისო კონფერენცია

23 მაისი

პროგრამა

VIII International Student Conference
May 23

Program

ბათუმი _ 2025 _ Batumi

სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი:

მამუკა ალაფიშვილი - რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ასოცირებული პროფესორი;

თეიმურაზ კეჭერაძე - ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი, პროფესორი;

ერმილე მესხია - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

თეა ცაგური - სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების უფროსი, ასოცირებული-პროფესორი;

ინგა ქურიძე - სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების სპეციალისტი;

სალომე ჩიკაშუა - საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი;

მაგდა ჭანიძე - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ტელე-რადიო ჟურნალისტიკის, პირველი კურსის სტუდენტი.

კესო გრძელიძე - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ხელოვნებათმცოდნეობა(ხელოვნების ისტორია და თეორია),- I კურსის სტუდენტი.

გელა ბერიძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

აკაკი მუხაშაგია - IT მენეჯერი;

კონფერენციის სამუშაო განრიგი
23 მაისი

- 10.00-10.30 - მონაწილეთა რეგისტრაცია
- 10.30-11.00 - კონფერენციის გახსნა
- 11.00- 13.00 - სესია
- 13.00-14.00 - ხემსი (შვედური მაგიდა)
- 14.00-14:30 - კონფერენციის შეჯამება და დახურვა

რეგლამენტი:

- მომხსენებელთათვის - 10 წთ.
- დისკუსიისთვის - 5 წთ.

საქართველო, ბათუმი, ზურაბ გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. № 19/32
www.batu.edu.ge
info@batu.edu.ge

**სექცია: ხელოვნებათმცოდნეობა, განათლება, კულტურის
მენეჯმენტი**

11:00 – 13:00

მოდერატორი -პროფესორი: ერმილე მესხია

ხელოვნებათმცოდნეობა

1. **ნინო დუმბაძე** - „**ბავშვის საწოლი -აკვანი**“
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო
უნივერსიტეტი, განათლების, ჰუმანიტარულ და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
ხელოვნებათმცოდნეობა, ბაკალავრი, III კურსი.
dumbadzen472@gmail.com.

**ხელმძღვანელი: ისტორიის დოქტორი - ნინო
ხარჩილავა**

2. **მარიამ თავდგირიძე** - „**მხატვარი თემო
ჯაფარიძე**“ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო
უნივერსიტეტი, განათლების, ჰუმანიტარულ და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ხელოვნებათმცოდნეობა, ბაკალავრი, III კურსი
mtavdgiridze39@gmail.com

ხელმძღვანელი: პროფესორი - რატი ჩიბურდანიძე

3. ნია შატაკიშვილი - „ტიციანის მუსიკალური ჩანგი“ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული ფილოლოგიის მესამე კურსი shatakishviliniako@gmail.com

ხელმძღვანელი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი - თამარ გოგოლაძე

4. **Gülberk Emine Aydın - „KINETIC TYPOGRAPHY IN THE CONTEXT OF**

ABSTRACT ART AND A DESIGN SUGGESTION“

Hacettepe University, Fine Art Faculty, Graphic Program, Master Degree. gulberkemine9@gmail.com

Supervisor: Assoc. Prof. **Fatih KURTCU**

5. ნოდარ არონიშიძე - „თანამედროვე ქართული რესტავრაციის რამდენიმე ნიმუშის გამო (ტენდენციები და გამოწვევები)“ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი; შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება, დოქტორანტი. nm.aronishidze@gmail.com

ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი-კახა ხიმშიაშვილი.

კულტურის მენეჯმენტი

6. ნატო ფირცხალაიშვილი - „მუზეუმების არქიტექტურა“ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ხელოვნებათმცოდნეობა, მეორე კურსი
pirtskhalaishvilinato@gmail.com

ხელმძღვანელი: მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი - ერმილე მესხია

განათლება

7. ირმა ჭიჭინაძე - „სტუდენტთა როლი უმაღლესი განათლების ხარისხის მართვაში“ ირმა ჭიჭინაძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი. განათლების ადმინისტრირება, მაგისტრანტი.
Irmachichinadze.22@gmail.com

ხელმძღვანელი: პროფესორი - ერმილე მესხია

სექცია: ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა,
თეატრმცოდნეობა

მოდერატორი - პროფესორი: თეიმურაზ კეყერაძე

11:00- 13:00

ხელოვნებათმცოდნეობა

1. ლანა ჟორჯოლიანი, თეკლა დეისაძე - „ქართული ეროვნული საგანძური-ორნამენტი ტრიკოტაჟის ნაწარმში“ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საინჟინრო-ტექნოლოგიური, დიზაინი ტექსტილისა და ინტერიერისათვის, საბაკალავრო, IV - კურსი. zhorzholiani.lana1@atsu.edu.ge
deisadze.tekla1@atsu.edu.ge

ხელმძღვანელი: ტექნიკის მეცნიერებების დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი - ნატო ფაილოძე.

2. დიანა ჯინჭარაძე - „არქეოლოგიის მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამები“ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ხელოვნებათმცოდნეობა. II კურსი jinchardzediana240@gmail.com

ხელმძღვანელი: მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი - ერმილე მესხია

3. ნინო ნიკურაძე - „ხელოვნების მუზეუმის კულტურის პროექტები“ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ხელოვნებათმცოდნეობა. II კურსი ninianikuradzee@gmail.com

ხელმძღვანელი: მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი - ერმილე მესხია

4. ინგა ბერიძე, ქეთი შავაძე - „ჭარული ნაქარგობანი“ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, „ხელოვნების ისტორია და თეორია“, III კურსი shavadzeqeti@8gmail.com
Ingaberidze2005@gmail.com

ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი - მაია ჭიჭილეიშვილი.

5. მარიამ კაკულია - „მხატვარ ამირან კუპრავას შემოქმედებითი გზა“ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, „ხელოვნების ისტორია და თეორია“, I კურსი - mariamifoti@gmail.com

ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი: ნათია კვაჭაძე

6. მელექ ნასიბოვა, თამარ გურგუჩიანი აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი „დიზაინი
ინტერიერისა და ტექსტილისათვის“ მე-3 კურსი.
tamarmoseshvili@yahoo.com , Gurguchiani.tamari@atsu.edu.ge

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი - **თამარ
მოსეშვილი**

კონომცოდნეობა

7. **მარიამ ახალკაცი** - „ომგამოვლილი გმირების
სახეცვლილება ქართულ და მსოფლიო კინოში“
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახელოვნებო
მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის
ფაკულტეტის კონომცოდნეობის სადოქტორო
პროგრამის მესამე კურსი. makhalkatsi@bk.ru

ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
პროფესორი - **ლელა ოჩიაური**.

თეატრმცოდნეობა

8. **კესო გრძელიძე** - „არისტოფანე ესქილესა და
ევრიპიდეს დრამის შესახებ“ ბათუმის ხელოვნების
სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების,
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი. ხელოვნებათმცოდნეობა(ხელოვნების

ისტორია და თეორია), ბაკალავრი - I კურსი
intskirvelikeso@gmail.com

ხელმძღვანელი: ხელოვნების ისტორიისა და თეორიის
დოქტორი, პროფესორი - თეიმურაზ კეჟერაძე

მედია

11.00- 13.00

მოდერატორი: სოციალური მეცნიერების დოქტორი,
პროფესორი - ინგა ზოიძე

1. გურამ ლილუაშვილი - „მედიაწიგნიერების
მნიშვნელობა საინფორმაციო ომის წარმოებისას“
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და
საერთაშორისო უსაფრთხოების საგანმანათლებლო
სამაგისტრო პროგრამა, I კურსი.
Gurami.liluashvili@ciu.edu.ge

ხელმძღვანელი: კომუნიკაციების პროგრამის დოქტორი
- ეკატერინე ჭალაგანიძე

2. თათია კოკობინაძე, მარიამ ვეკუა „აფხაზეთის
კონფლიქტის რეპრეზენტაცია ქართულ პრესაში
(გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1992 წელი)
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ფაკულტეტი, ჟურნალისტიკის საბაკალავრო
საგანმანათლებლო პროგრამა, III კურსი.
tatia.kokobinadze@ciu.edu.ge mariam.vekua@ciu.edu.ge

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი - ნინო
მინდიაშვილი

3. მეგი ჯომიდავა „მედიის კაპიტალი:
კორპორატიული ძალა და კომერციალიზაციის
პარადოქსი“ კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტი, სოციალურ და ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო
ურთიერთობებისა და საერთაშორისო
უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო
პროგრამა, I კურსი. megi.jomidavamj@gmail.com

ხელმძღვანელი: - მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი - ეკატერინე ჭალაგანიძე.

4. მაგდა ჭანიძე - „ყალბი ამბები და დეზინფორმაცია
მედიაში“ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო
უნივერსიტეტი, განათლების, ჰუმანიტარულ და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ტელე-
რადიო ჟურნალისტიკის, პირველი კურსი.
Magda.chanidze2021@gmail.com

ხელმძღვანელი: სოციალური მეცნიერების დოქტორი,
პროფესორი მოწვეული უფროსი მასწავლებელი ინგა
ზოიძე.

თეზისები

ხელოვნებათმცოდნეობა

ნინო დუმბაძე

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი, ხელოვნების ისტორია და
თეორია, ხელოვნებათმცოდნეობა.

ბაკალავრი, III კურსი
ხელმძღვანელი: ისტორიის დოქტორი - ნინო ხარჩილავა
საქართველო, ბათუმი

ბავშვის საწოლი - აკვანი

აკვანი საქართველოში ძველთაგან ჩვილის
აღსაზრდელი საწოლია, რომელიც მრავალ კულტურაში
ბავშვისთვის დაცულ და კომფორტულ აღზრდას
ემსახურება. საქართველოში აკვანი მნიშვნელოვანი იყო
არა მხოლოდ ბავშვის ძილისთვის, არამედ მას მაგიური და
რელიგიური დატვირთვაც ჰქონდა.

აკვანი არის სარწევი ან საქანებელი. სარწევს
საგოგავები აქვს, საქანებელი კი თოკებზეა ჩამოკიდებული.
აკვნის პრიმიტიული სახეობაა ე. წ. ხოჭიჭი - საგებლიანი

ფიცარი. აკვანში ჩაწვენამდე ჩვილს ხოჭიჭში აკრავდნენ. სარწევი აკვნის მოწყობილობაში შედის საბანი, მუხლთბალიში, საფერხები, სამხრეულები, საბეჭურები, არტახები და სხვა. ლეიბში სათანადო ადგილზე ამოჭრილ ჰიგიენურ ნახვრეტში უყრიან შიბაქს. ხოჭიჭის, როგორც აკვნის პრიმიტიულ საზეობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართულ ფრესკებზე გამოსახული ბავშვის სარეცელი სრულიად არ ჰგავს თანამედროვე ყოფაში დაფიქსირებულ ქართულ აკვანს. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ხოჭიჭი არის „მცირე აკვანი“. ბავშვს დაბადებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ აკვანს მოუმზადებდნენ. აკვანი მზად-დებოდა სხვადასხვა მსუბუქი ხის ჯიშისაგან, მაგალითად, იფნის, რცხილის, ფიჭვის და ვერხვის ხისაგან.

საყურადღებოა აკვნის მორთულობა, ყველა დეტალს აქვს თავისი მნიშვნელობა და დანიშნულება, ხალხის რწმენა-წარმოდენებით ავი თვალისაგან და სულისგან დასაცავად აკვანზე კიდებდნენ ავგაროზებს და ლოცვებს. აკვანს ზემოდან აფარებდნენ ბადეს. ხალხური ჩვეულების მიხედვით, უშვილობის ან ბავშვის ავადმყოფობის დროს სცოდნიათ აკვანს შეწირვა სხვადასხვა წმინდა ადგილებისთვის. საინტერესოა, ფოლკლორულად დადასტურებული აკვანის სიმღერები და ლექსები. აკვანს ამკობდნენ სხვადასხვა ხალხური ორნამენტებით.

ამრიგად, აკვანი, როგორც ჩვილი ბავშვის საწოლი მატერიალური კულტურული ტრადიციის ნაწილია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ასახავდა ოჯახის

მიერ ზრუნვას ჩვილი ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

მარიამ თავდგირიძე

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი

ხელოვნებათმცოდნეობა, ბაკალავრი, III კურსი
ხელმძღვანელი: პროფესორი - რატი ჩიბურდანიძე
საქართველო, ბათუმი

მხატვარი თემო ჯაფარიძე

თემო ჯაფარიძე თანამედროვე ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი, დაიბადა 1937 წლის 27 მარტს, თბილისში. მხატვარი ქართული ფერწერის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა, მისი შემოქმედება მრავალშრიანია: ის ქმნიდა ესეებს, პროზაულსა და პოეტურ ნაწარმოებებსაც. ჯაფარიძე მხატვრობით მაშინ დაინტერესდა, როცა პირველად იხილა კინოთეატრში ფილმი ამედეო მოდილიანზე, სწორედ ამ ფილმმა გაუღვივა მას ფერწერისადმი ინტერესი.

თემო ჯაფარიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დაასრულა. მიუხედავად სამხატვრო

განათლების არქონისა, 1964 წელს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გამართულმა პირველმა გამოფენამ, რომელიც მოდლიანის გავლენით შექმნილ პორტრეტულ ნამუშევრებს მოიცავდა, მას საზოგადოების აღიარება მოუტანა. მისი პერსონაჟები ღირიზმითა და ემოციური ღრმა შთაგონებით გამოირჩეოდნენ. ხელოვანი გატაცებული იყო აბსტრაქტიული ფერწერით სიურეალიზმითა და კოლაჟით. თ. ჯაფარიძე ქართულ ნონკონფორმისტული ხელოვნების ერთ-ერთი პირველი და აშკარად გამოხატული თვითმყოფადობის მქონე მხატვარია. აღსანიშნავია, მხატვარის პორტრეტულ ნამუშევართა ფონი, ანტურაჟი, ზუსტად მიგნებული ემოციურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო კოლორისტულ და ფერწერულ გადაწყვეტასთან ერთად.

1970-იანი წლების ბოლოს დრამატულ „მუქ ფერწერას“ ცვლის „ნათელი ფერწერა“. 1990-იან წლებში კი მისი ფერწერული, რელიეფური და პორტრეტული ნამუშევრები დინამიკური და სიცოცხლისუნარიანია. თემო ჯაფარიძის მხატვრული ხედვა ყოფიერების ფილოსოფიურ გააზრებასა და ადამიანის პიროვნული მნიშვნელობის წარმოჩენას ემყარება, ის მაძიებელი მხატვარია. მისი ხელწერა და სიღრმისეული, ჭეშმარიტების მაძიებელი სულისკვეთება დღესაც მნიშვნელოვან კვალს ტოვებს ქართულ კულტურაში. ხელოვანის ყველა ნამუშევარი თავისებური პასუხია სამყაროში ადამიანის არსებობის ურთულეს საკითხებზე.

ნია შატაკიშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ფილოლოგიის მესამე კურსი
ხელმძღვანელი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი - თამარ გოგოლაძე
საქართველო, გორი

ტიციანის მუსიკალური ჩანგი

1. XIX საუკუნის მიწურულს ევროპულ ლიტერატურაში ჩაისახა ახალი მიმდინარეობა მოდერნიზმი - თავდაპირველად სიმბოლიზმის სახით. მისი ძირითადი იდეური ყურადღება გადატანილი იყო ფორმისა და შინაარსის დახვეწაზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ უფრო მეტად სიმბოლიზმს აინტერესებდა ფორმა, რაც ლიტერატურაში გამოვლინდა მხატვრული სახეების (ეპითეტი, მეტაფორა, ალეგორია და ა.შ.) ჭარბი გამოყენებით.

ქართულ ლიტერატურაში ამ დროს გაბატონებული იყო კრიტიკული რეალიზმი, რომლის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა შინაარსის

იდეურ სპეციფიკაზე ზრუნვა. მოდერნიზმმა დღის წესრიგში დააყენა უფრო ფორმაზე ყურადღების გადატანა, რაც გამოიხატა ძირითადად მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე „ცისფერყანწელების“, ანუ ქართველი სიმბოლისტების, მეშვეობით. სიმბოლისტთა მობის ერთ-ერთი წევრი იყო ტიციან ტაბიძე (1890-1937 წწ.).

2. ტიციანის შემოქმედება სიმბოლიზმის ფრთაშესხმაა, რომელსაც თავად მწერალი „მუსიკალურ ჩანგად“ მოიხსენიებს. მის ლექსებს მუსიკალურობას ანიჭებს სწორედ სალექსო სტრიქონში მარცვალთა რითმულობა. ზოგიერთი ლექსის („მგოსნი სონეტი“, „ამოდის ნათდება“, „ქებათა ქება“) თითოეული სტრიქონი აქ წარმოდგენილია 10 მარცვლიანი რითმული წყობით, რაც ერთგვარ ჰარმონიულობასა და მუსიკალურობას ანიჭებს ნაწარმოებს. ტიციანი ზოგი ლექსის სათაურში იყენებს ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: სიმღერა, სონეტი, მგოსანი.. („მგოსნის სონეტი“, „მგზავრის სიმღერა“, „ნელი მუსიკა“).

3. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ტიციანის შემოქმედების შთაგონებით ქართველმა კომპოზიტორებმა არაერთი მუსიკალური ნაწარმოები შექმნეს. ნაშრომში ერთ მათგანზე ნიკოლოზ გუდიაშვილზეა (1913-1998 წწ.) ყურადღება გამახვილებული. მან ტიციანის ლექსების ჟღერადობის გათვალისწინებით შექმნა არაერთი რომანსი.

Gülberk Emine Aydın

Hacettepe University

Fine Art Faculty, Graphic Program, Master Degree.

Supervisor: Assoc. Prof. Fatih KURTCU

Türkiye ,Ankara

KINETIC TYPOGRAPHY IN THE CONTEXT OF ABSTRACT ART AND A DESIGN SUGGESTION

ain Text: Typography is constantly changing and developing with computer technologies. When used in different design disciplines, various and original results emerge. In this research, kinetic typography is analysed in the context of abstract art. The way the abstract concept expresses feelings and thoughts has a common language of expression with kinetic typography. Expressing concepts in their simplest form is an important method in terms of effective expression. In this direction, the meeting of abstract art with kinetic typography offers new ways of expression to designers.

The combination of kinetic typography and abstract art can be considered as an innovative approach in graphic design. Kinetic typography videos produced in the context of abstract art can give the audience an artistic perspective. In addition, the examination of this subject is also important in terms of eliminating the deficiencies in the literature.

In the design suggestion, visual identity, main trailer and teasers for speakers were created for a short film festival designed to show kinetic typography in the context of abstract art in a wider area. The main theme of the festival was determined as 'Digitalisation'. Pixels, which are the basic building blocks of digitalisation, are initially perceived as abstract and meaningless dots, but come together to form a meaningful whole.

Within the context of the design suggestion, kinetic typography was used as a visual metaphor consisting of pixels, symbolising the transformation of digitalisation from an abstract beginning to a meaningful structure.

Keywords: Kinetic Typography, Abstract Art, Motion, Graphic Design, Generic Design.

ნოდარ არონიშვიძე

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, რესტავრაციის,
ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი
შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება, დოქტორანტი.
ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი-კახა ხიმშიაშვილი
საქართველო, თბილისი

**თანამედროვე ქართული რესტავრაციის რამდენიმე
ნიმუშის გამო**

(ტენდენციები და გამოწვევები)

თანამედროვე საზოგადოების „საზოგადოებად“ თვითიდენტიფიცირების ერთ-ერთ მთავარ „მარკერს“ კულტურის მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს. კულტურული მემკვიდრეობა უამრავ მიმართულებას მოიცავს, მათ შორისაა ქვეყნის მატერიალური მემკვიდრეობა, ის, რასაც ხშირად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სახელითაც მოიხსენიებენ.

კაცობრიობის „კულტურული ცხოვრების“ საერთო ისტორიის ფონზე, კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოჩნდება თანამედროვე საზოგადოების, როგორც ერთგვარი „შემნახველის“, კულტურის „მომვლელისა“ და მისი სიცოცხლისუნარიანობის გამახანგრძლივებლის მძიმე, მაგრამ თავისი არსით „შემოქმედებითობის“ ტოლფასი მნიშვნელობა. აღნიშნული სხვაგვარადაც შეიძლება ფორმულირდეს და განისაზღვროს - განვითარებული საზოგადოების უალტერნატივო მაჩვენებელი მისი დამოკიდებულების რაგვარობაა საკუთარი (და არა მხოლოდ) კულტურის მიმართ – იქნება ეს მთლად ცოცხალი, ნაწილობრივ გადარჩენილი თუ მცირედ ნაშთებადღა შთენილი მემკვიდრეობა.

ბოლო 3-4 წლის კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების ვრცელი ქრონოლოგიური „ჯაჭვიდან“ რამდენიმე „რგოლის“

ამოღება და მათ ძირეულ მოტივებზე ფოკუსირებაა ამაჯერად ჩვენი ამოცანა. მოხსენების ფარგლებში ჩვენ შევეხებით ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე განხორციელებული სარესტავრაციო პროექტების სხვადასხვა ნიმუშს, რომელთა ფონზეც წარმოჩინდება სადღეისოდ არსებული პრობლემებისა და გამოწვევების მთელი წყება.

საილუსტრაციოდ იმისა, რომ ქართული სარესტავრაციო „სკოლა“ უმძიმესი გამოწვევის წინაშე დგას, ჩვენ ვაჩვენებთ პრობლემათა რამდენიმე რაკურსს, რაც გამორიცხავს მათ „შემთვევითობას“ – პირუკუ, ის გვიჩვენებს სწორედ, რომ სისტემურობას, სისტემურ ხარვეზებსა და გამოწვევებს. მოხსენების ფარგლებში ჩვენ შევეხებით როგორც საერო, ისე საკულტო არქიტექტურას – ასევე, როგორც რესტავრაციას, ისე კონსერვაციას.

მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი ანალიზისას არ მოხდეს საკითხის გამარტივების მიზნით, პრობლემის ცალმხრივი განხილვა – სწორედ ამიტომ ჩვენ შევეცდებით წარმოვაჩინოთ თანამედროვე ქართული რესტავრაციის რამდენიმე ძეგლი და, მათ ფონზე, სირთულეთა სხვადასხვა „კლასი“.

ლანა ჟორჟოლიანი, თეკლა დეისაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საინჟინრო-ტექნოლოგიური,
დიზაინი ტექსტილისა და ინტერიერისათვის
ბაკალავრის IV კურსი
ხელმძღვანელი: ტექნიკის მეცნიერებების დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი - ნატო ფაილოძე
საქართველო, ქუთაისი

ქართული ეროვნული საგანძური-ორნამენტი ტრიკოტაჟის ნაწარმში

ქართული კულტურა ვითარდებოდა საქართველოს ისტორიასთან ერთად, რასაც სხვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ერთად ასაზრდოებდა ტრადიციული ორნამენტი. ორნამენტი შესწავლილია და გადმოტანილია სხვადასხვა მასალაში. დღეს უკვე აქტუალურია სხვადასხვა დანიშნულების ტექსტილზე ჩითვის მეთოდით დატანილი ორნამენტები, ასევე ეთნოსტილში დამზადებული ხალიჩები, მაგრამ იგი ტრიკოტაჟის ნაწარმზე იშვიათად გვხვდება ქსოვის პროცესებიდან გამომდინარე.

სატრიკოტაჟო მრეწველობა ითვლება ტექსტილის წარმოების ყველაზე ახალგაზრდა დარგად. ტრიკოტაჟი დღეს არა მხოლოდ ტანსაცმლით შემოიფარგლება, არამედ ფართოდ გამოიყენება საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და ტექნიკური მიმართულებით. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება უკვე წარმოუდგენელია ტრიკოტაჟული ნაწარმის გარეშე. ის საფეიქრო მრეწველობის ყველაზე წარმატებული მიმართულებაა. მისი შესაძლებლობები ჯერ კიდევ შუზღუდავი და უსასრულოა. ამიტომაცაა რომ, ტრიკოტაჟს ერთ-ერთი წამყვანი როლი ენიჭება თანამედროვე მოდაში.

ნაშრომში წარმოდგენილა ხეზე, ქვაზე და ტექსტილზე გამოსახული ძველი ქართული ორნამენტების გაანალიზების შედეგად შერჩეული ორნამენტების ფრაგმენტების ტრიკოტაჟის ნაწარმში გადმოტანის მცდელობა და მათი ესკიზების დამზადების მეთოდები. კერძოდ, გამოვყავით მოძიებული მასალიდან ტრადიციული ორნამენტები, დავამზადეთ ამ ნიმუშების ესკიზები და ქსოვის სქემები შერჩეული ხლართისა და ნედლეულის გათვალისწინებით. გამოვიყენეთ საოჯახო ტიპის საქსოვი მანქანებისათვის LK150, LK155 და SK280 ასევე ბრტყელფანგურ „ПВПЭМ“ მანქანისათვის დადგენილი ქსოვის ოპტიმალური ტექნოლოგიური პარამეტრები, რათა აღნიშნული ორნამენტები შემდგომში მოიქსოვოს ზემოთ მითითებულ ტრიკოტაჟის საქსოვ მანქანებზე.

შედეგებმა გვაჩვენა, რომ LK150, LK155 და SK280 ტიპის მანქანებზე შესაძლებელია ნებისმიერი ორნამენტის ქსოვა. ბრტყელ ფანგურ მანქანაზე მხოლოდ ჰორიზონტალური გეომეტრიული ორნამენტის. კომპიუტერული მართვით აღჭურვილ საქსოვ მანქანა "ARROW*STAR-ზე" ბრტყელი საქსოვი მანქანის მსგავსად მოიქსოვა ჰორიზონტალური გეომეტრიული ორნამენტი. რთული ფორმის ორნამენტის მოქსოვა შესაძლებელია კომპიუტერული პროგრამის საფუძველზე.

ჩვენ მიერ შედგენილი ესკიზების გამოყენებით მოვქსოვეთ რამდენიმე ორნამენტის ნიმუში.

დიანა ჯინჭარაძე

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი
ხელოვნებათმცოდნეობა
მეორე კურსი
ხელმძღვანელი - პროფესორი ერმილე მესხია
საქართველო, ბათუმი

არქეოლოგიის მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამები

თანამედროვე სამუზეუმო სამყარო დიდი ხანია გაცდა მუზეუმის, როგორც ქვეყნის სიძველეთა დაცვისა და ეროვნული განძის შენახვის საიმედო ადგილსამყოფელს.

მეცნიერულ-ტექნიკურმა მიღწევებმა თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებაში და კულტურულ-შემეცნებითი ინფორმაციის ალტერნატიულმა წყაროებმა მნიშვნელოვნად შეამცირა საზოგადოების ინტერესი კულტურისა და ხელოვნების ტრადიციული ინსტიტუციების მიმართ.

დამთვალიერებელთა მოზიდვისათვის გამოსავლის ძიებაში მუზეუმები დაადგნენ ტრადიციული სამუზეუმო პროექტების პარალელურად განსხვავებული თემატიკისა და შინაარსის საგანმანათლებლო და კულტურული პროექტების განხორციელების გზას. მუზეუმებმა, გარდა საგამოფენო და საგანმანათლებლო-კვლევითი საქმიანობისა, შეიძინეს კულტურული აქტივობების მრავალმხრივი ფუნქცია.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანი მისია ქვეყნისა და რეგიონის წინაშე აკისრია ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმს. იგი აჭარის უძველესი ისტორიის არტექფაქტებს ინახავს. მუზეუმი დამთვალიერებლებს მრავალფეროვან გამოფენებს და საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობს.

თითოეული პროგრამის მიზანია, გაზარდოს სამუზეუმო საქმიანობით მოსწავლეთა დაინტერესება,

ჩართოს ისინი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროექტების მეშვეობით გააფართოოს მუზეუმის დამთვალიერებელთა აუდიტორია. პროგრამები ინტეგრირებულია, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს არა მხოლოდ საკუთარი მხარის ისტორია შეისწავლონ უკეთ, არამედ გაეცნონ მის კავშირს სხვა სამეცნიერო დისციპლინებთან და ყველა საგანში გაიღრმავონ ცოდნა.

ნინო ნიკურაძე

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი,
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი, ხელოვნებათმცოდნეობა,

II კურსი

ხელმძღვანელი: პროფესორი - ერმილე მესხია
საქართველო, ბათუმი

ხელოვნების მუზეუმის კულტურის პროექტები

საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილების საფუძველზე კულტურული პროექტების განხორციელების პრაქტიკა აქტიურად მკვიდრდება ბათუმის მუზეუმებში. ამ მხრივ მდიდარი ტრადიცია დაგროვდა აჭატის ხელოვნების მუზეუმში.

აჭარის ხელოვნების მუზეუმი - ერთ-ერთი მთავარი საგამოფენო სივრცეა ბათუმში, სადაც წარმოდგენილია როგორც დროებითი, ისე მუდმივმოქმედი ექსპოზიციები. მუზეუმის პირველი სართული ეთმობა ქართულ, საერთაშორისო საგამოფენო-საგანმანათლებლო და სინთეზურ პროექტებს.

მეორე სართულზე წარმოდგენილია ნიკო ფიროსმანაშვილის, დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის და სხვა ოსტატების ნამუშევრები.

მუზეუმის მარცხენა ფლიგელში განთავსებულია მცირე გალერეა, სადაც სისტემატიურად არის წარმოდგენილი ახალგაზრდა ავტორების ნამუშევრების გამოფენები.

ბოლო წლებში აჭარის ხელოვნების მუზეუმი მნიშვნელოვან საგამოფენო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროექტებს ახორციელებს. სამუზეუმო საქმიანობის წესად იქცა მუზეუმის საგამოფენო სივრცის გამოყენება სხვადასხვა კულტურული პროექტების განხორციელებისათვის, რაც კიდევ უფრო მრავალფეროვანს და საინტერესოს ხდის სამუზეუმო ცხოვრებას. ასეთია, მაგალითად, აჭარის ხელოვნების მუზეუმში განხორციელებული მცირემასშტაბიანი კულტურული პროექტები: სპექტაკლი, კონცერტი და სხვა.

აჭარის ხელოვნების მუზეუმის კულტურის პროექტები გათვლილია ყველა სოციალური ჯგუფისა და ასაკის ადამიანისათვის. განსაკუთრებით კი მუზეუმი დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსწავლეებსა და სტუდენტებში.

ინგა ბერიძე, ქეთი შავაძე

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია

III კურსი

ხელმძღვანელი: პროფესორი - მაია ჭიჭილეიშვილი
საქართველო, ბათუმი

„აჭარული ნაქარგობანი“

ქარგვა, ნაქარგობა, აჭარაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, ფართოდ გავრცელებული ხალხური რეწვის სახეა. ქარგვის ტრადიცია აქ თაობიდან თაობებს გადაეცემა და დღესაც უწყვეტად აგრძელებს სიცოცხლეს. აჭარაში ნაქარგობებს ძირითადად ქალბატონები ქმნიან, რომლებიც ამ საქმიანობას ბავშვობიდან ეწევიან. ნაქარგებით იმკობა

ქალის სამოსის დეტალები, ასევე სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ქსოვილის ნივთები, რომლებსაც პრაგმატული მნიშვნელობა აქვს. აჭარაში ხელით ნაქარგ ნივთებს, ძირითადად, ოჯახის წევრებს ჩუქნიან და ტრადიციულად პატარძალს ატანენ მზითევში.

ნაქარგობა ხალხური, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სახეა და თავისი შინაარსით, მხატვრული გააზრებით ადამიანისა და ბუნების ურთიერთმიმართებას, დღემდე შემორჩენილ რწმენა-წარმოდგენებს, ეროვნულ იდენტობას გამოხატავს. აჭარულ ნაქარგობებს გამოარჩევს ნათელი კოლორიტი, ფერთა კონტრასტები, მაჟორულობა და კომპოზიციური გადაწყვეტის დინამიკურობა. მათში ასახულია ცხოვრების სიხალისე, დინამიკა, სამყაროს მრავალფეროვნება. ორნამენტი კომპოზიციების ძირითადი გამომსახველი ელემენტია, ფიგურული გამოსახულებები შედარებით იშვიათად გვხვდება. კომპოზიციებში დიდი მნიშვნელობა ბუნების წიაღიდან მომდინარე მრავალფეროვან მცენარეულ ორნამენტებს, ცხოველთა და ანტროპომორფულ გამოსახულებებს ენიჭება. მაღალი ოსტატობით შესრულებულ მცენარეულ მოტივებს მდიდარი ფერთა შეხამება ახასიათებს. მრავალფეროვან გეომეტრიულ ორნამენტებსაც ჰარმონული ფორმები გამოარჩევს, ზოგჯერ მათში ქართველთა ტრადიციული მხატვრული სიმბოლოებია ჩაქსოვილი.

აჭარული ნაქარგები ხალხური რეწვის ტრადიციული სახე და რეგიონული იდენტობის გამომხატველი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი

კომპონენტია, „ტრადიციულ აჭარულ ნაქარგობას“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი გააჩნია.

მარიამ კაკულია

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი,
„ხელოვნების ისტორია და თეორია“ I კურსი
ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი- ნათია კვაჭაძე
საქართველო, ბათუმი

„მხატვარ ამირან კუპრავას შემოქმედებითი გზა“

ნაშრომი ეხება XXI საუკუნეში მოღვაწე ქართველ მხატვარს - ამირან კუპრავას. მისი შემოქმედება მოიცავს ფერწერას, გრაფიკას და ინსტალაციას. მხატვარმა განათლება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე მიიღო, სადაც სწავლობდა გამოჩენილი მხატვრის კოკი მახარაძის სახელოსნოში (1982–1988).

ამირან კუპრავას ნამუშევრები გამოირჩევა სიღრმითა და სიმბოლიზმით. მხატვრის შემოქმედება საინტერესო დიალოგს წარმოშობს მაყურებელთან, რაც კიდევ უფრო ღირებულს ხდის მის ნამუშევრებს.

1980-იანი წლების ბოლოს მხატვარი აქტიურად მუშაობდა „მხატვრის სახლში“ არსებულ სტუდია-სახელოსნოში. 1990-იან წლებში, ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური და სოციალური ვითარების გამო, მას სამშობლოს დატოვება მოუხდა, მხატვარი გერმანიაში მიიწვიეს. ემიგრაციაში ამირან კუპრავამ 21 წელი გაატარა და არაერთი პერსონალური თუ ჯგუფური გამოფენა გამართა. მისი ნამუშევრები დაცულია: თბილისის ეროვნულ მუზეუმში, ბათუმის ხელოვნების მუზეუმში, ლევ ტოლსტოის სახლ-მუზეუმში რუსეთში, ასევე კერძო კოლექციებში: აშშ-ში, იაპონიაში, გერმანიასა და ბელგიაში. 2013 წელს მხატვარი საქართველოში დაბრუნდა და ფოთში, მამისეულ სახლ-კარში განაგრძო შემოქმედებითი საქმიანობა. შემოქმედებითი გარემო, რომელიც მხატვარმა თავის დაარსებულ სტუდია „წითელ აივანში“ შექმნა ხელსაყრელი აღმოჩნდა ახალგაზრდა თაობებისთვის. დღეს მხატვარი თავის მოსწავლეებთან ერთად ნაყოფიერად აგრძელებს მუშაობას და არაერთ საინტერესო მასშტაბურ პროექტს გვთავაზობს.

2015 წელს გამოიცა მხატვრის ნამუშევრების კატალოგი "მეტამორფოზი", რომელშიც შესულია ფერწერა, ფერადი გრაფიკა და ინსტალაცია.

ამირან კუპრავას შემოქმედებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ისტორიაში. თამამად შეიძლება ითქვას,

რომ მისი ნამუშევრები შთაგონების წყაროა მომავალი თაობებისთვის.

მელექ ნასიბოვა, თამარ გურგუჩიანი

ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი
„დიზაინი ინტერიერისა და ტექსტილისათვის“ მე-3 კურსი
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი -
თამარ მოსეშვილი
საქართველო, ქუთაისი

კახეთის მხარის ეთნიკური ჯგუფების ტექსტილური ნაკეთობების თავისებურებანი

რამდენიმე ასეული წელია აზერბაიჯანელი მოსახლეობა ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე და ინარჩუნებენ თავიანთ კულტურულ ფესვებს. ამ ადამიანებმა შემოინახეს ხალიჩების ქსოვის აზერბაიჯანული, კერძოდ, განჯა-ყაზახის სკოლის მიმართულება და თაობიდან თაობას გადასცემდნენ ამ ცოდნას.

საქვეყნოდ განთქმულია ყოფილ მუღანლის რაიონში (ამჟამად საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) ეთნიკურად აზერბაიჯანელებით დასახლებული

სოფლების ხალიჩის მქსოველთა ნაკეთობები. მათი ორნამენტები, ფერთა გამა და სიმბოლიკა მკვეთრად განსხვავებულია მეზობლად მცხოვრები ქართველი ხალხის ხალიჩური ნაკეთობებისაგან.

ნაშრომში განხილულია მუდანლოსა და თუშეთის ქსოვითი ნაკეთობების შედარებითი ანალიზი.

განათლება

ირმა ჭიჭინაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის,

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი
განათლების ადმინისტრირება, მაგისტრანტი.

ხელმძღვანელი: პროფესორი - ერმილე მესხია
საქართველო, ბათუმი

სტუდენტთა როლი უმაღლესი განათლების ხარისხის მართვაში

განათლების სფეროში ხარისხის მართვის პროცესები XIX საუკუნის ბოლოს აშშ-დან იღებს სათავეს, სადაც პირველად შეიქმნა საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის ორგანო. დღეისათვის ეს ფუნქციები თავად უნივერსიტეტების თვითშეფასების

განვითარებული სისტემისა და სხვადასხვა დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციის ფუნქციებშია ინტეგრირებული.

ხარისხის მართვა უნივერსიტეტის საქმიანობის ყოველდღიური ნაწილი და პროცესში ჩართული ყველა პირის პასუხისმგებლობაა. საუნივერსიტეტო საქმიანობის ხარისხი გამომდინარეობს საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრთა კომპეტენციისგან, პასუხისმგებლობისგან და ეთიკური ქცევისგან.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით უზრუნველყოფილია სტუდენტების მონაწილეობა უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში. კერძოდ, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოსა და ფაკულტეტების საბჭოების მუშაობაში. სტუდენტებს გააჩნიათ უფლებამოსილება მონაწილეობდნენ, როგორც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის სტანდარტი ავალდებულებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარისხის მართვის ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების აქტიური ჩართულობა სწავლების, შემოქმედებითი და კვლევითი პროცესების დაგეგმვის, განხორციელების შეფასების და მონიტორინგის პროცესში.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას
შემუშავებული უნდა ჰქონდეს სტუდენტების აკადემიური
მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და მონიტორინგის
შედეგები უნდა ითვალისწინებდეს სასწავლო პროცესის
გაუმჯობესებას.

კულტურის მენეჯმენტი

ნატო ფირცხალაიშვილი

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი,
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი, ხელოვნებათმცოდნეობა, მეორე კურსი
ხელმძღვანელი: მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი -
ერმილე მესხია
საქართველო, ბათუმი

მუზეუმების არქიტექტურა

მუზეუმების არქიტექტურა, ანუ სამუზეუმო
შენობის განსაკუთრებული ტიპი მე-19 საუკუნეში
ჩამოყალიბდა. სამუზეუმო არქიტექტურის პიონერად
ითვლება ცნობილი არქიტექტორი და მხატვარი კარლ
ფრიდრიხ შინკელი. მას ეკუთვნის ბერლინის ძველი
მუზეუმის შენობის დაპროექტება, რომელიც აიგო 1823-
1830 წლებში. შენობაში არქიტექტორმა მოდელად
გამოიყენა ათენის პართენონის კოლონების კლასიკური
წყობა. თუმცა იონური წყობა მხოლოდ შენობის წინა
ფასადშია გამოყენებული, დანარჩენი სამი ფასადი
აგურითა და ქვით არის მოპირკეთებული.

მოგვიანებით სამუზეუმო საქმის სპეციალისტები
და არქიტექტორები მუზეუმების მოცულობით-
დაგეგმარებით გადაწყვეტას ორგანულად უხამებდნენ

კოლექციის სპეციფიკას, ეროვნულ ტრადიციებს, კლიმატურ პირობებს და ქალაქმშენებლობის დაგეგმარებას.

ამჟამად იქმნება პროექტები, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა მიდგომას მუზეუმის შენობის არჩევისა და აშენებისათვის. ასეთი კომბინაციის მაგალითია „მუზეუმის კვარტალი“ ვენაში. აქ ძველი შენობების გვერდით, რომლებშიც მუზეუმებია განთავსებული, აიგო ორი ახალი სამუზეუმო შენობა. ჩანაფიქრის მიხედვით ამ ყველაფერმა უნდა შეადგინოს ერთიანი კულტურული კომპლექსი.

მუზეუმის არქიტექტურა უნდა ითვალისწინებდეს რამდენიმე გარემოებას: მუზეუმის ტიპი, კოლექციების რაოდენობა, ადგილი, სადაი უნდა აშენდეს მუზეუმი, მუზეუმის კოლექციების შენახვის პირობები, საგამოფენო დარბაზები, ადმინისტრაციული ფართი, კვების ობიექტი, დამხმარე ფართი და სხვა.

საქართველოში ტიპიური სამუზეუმო შენობა სულ რამდენიმეა: სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი, აჭარის ხელოვნების მუზეუმი, ახალციხის მუზეუმი, მესტიის მუზეუმი. ეს მუზეუმები ძირითადად აკმაყოფილებენ სამუზეუმო შენობის დაგეგმარების მოთხოვნებს, მაგრამ არა სრულად, რადგან აქაც არ არის დაცული საერთაშორისო სტანდარტები.

თეატრმცოდნეობა

კესო გრძელიძე

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნებათმცოდნეობის სააბაკალავრო პროგრამის

პირველი კურსი

ხელმძღვანელი: ხელოვნების ისტორიისა და თეორიის
დოქტორი, პროფესორი -თეიმურაზ კეჭერაძე
საქართველო, ბათუმი

არისტოფანე ესქილესა და ევრიპიდეს დრამის შესახებ

თეატრის დაბადების დღედ ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნე, 534 წელი ითვლება, როდესაც ათენში პირველი ბერძენი დრამატურგის თესპისის ტრაგედია წარმოადგინეს დიდ დიონისობაზე (ტრაგედიის სახელწოდება უცნობია). დრამისა და თეატრის წარმოშობისა და მისი ძირითადი ჟანრების პირველი მკვლევარი ფილოსოფოსი არისტოტელეა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში მოღვაწეობდა. არისტოტელე თავის „პოეტიკაში“ ძირითადად ტრაგედიის, როგორც მაღალი ჟანრის დრამას აანალიზებს. პირველი ტრაგედია არისტოტელეს „პოეტიკას“ ორ საუკუნეზე მეტი აშორებს.

დრამის სწრაფმა განვითარებამ, რომელმაც ერთი საუკუნის განმავლობაში, პირველი დრამატული

წარმოდგენებიდან, სადაც ჯერ კიდევ არასრულყოფილად იყო გამოვლენილი დრამატურგიული ფორმები, გაიარა გზა ანტიკური ტრაგედიისა და კომედიის კლასიკურ ნიმუშებამდე, დღის წესრიგში დააყენა თეატრისა და დრამის თეორიის წარმოშობა, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა თეატრალური პრაქტიკის პროგრესის დაჩქარება. პრაქტიკულად სათეატრო პრაქტიკა წინ უსწრებდა თეატრის თეორიის ჩამოყალიბებას. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ დრამისა და თეატრის განვითარება, სათეატრო რეფორმები, გაუაზრებლად, სტიქიურად მიმდინარეობდა.

მე-6 საუკუნეში პირველი ათენელ დრამატურგის თესპისის თეატრი ერთი მსახიობისაა, მე-5 საუკუნეში ტრაგედიის მამად წოდებული ესქილეს თეატრში ერთდროულად ორი მსახიობი მოქმედებს, სულ მალე სოფოკლესთან სამი მსახიობი. ესქილე ქმნის ტრილოგიის სისტემას, სოფოკლე უარს ამბობს ტრილოგიაზე, შემოიღებს მოხატულ (ფერწერულ) დეკორაციებს, თეატრალურ პრაქტიკაში ქმნის სამი ერთიანობის მეთოდს (დრო, მოქმედება, მოქმედების ადგილი), 15-მდე ზრდის ქოროს მსახიობთა რაოდენობას და სხვა.

დრამისა და თეატრის რეფორმები ცხადია დრამატურგებს უკავშირდება. დრამის თეორიის საკითხებით თავდაპირველად თავად თეატრის რეფორმატორები ინტერესდებიან. კომედიის მამად

წოდებული ათენელი კომედიოგრაფი არისტოფანე თავის კოედიაში „ბაყაყები“ განიხილავს ესქილესა და ევრიპიდეს შემოქმედებას, რაც შეიძლება ჩაითვალოს დრამისა და თეატრის თეორიის საკითხების ანალიზის პირველ მცდელობად.

კინომცოდნეობა

მარიამ ახალკაცი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის
ფაკულტეტის
კინომცოდნეობის სადოქტორო პროგრამის მესამე კურსის
სტუდენტი
ხელმძღვანელი: პროფესორი - ლელა ოჩიაური
საქართველო, თბილისი

ომგამოვლილი გმირების სახეცვლილება ქართულ და მსოფლიო კინოში

მოხსენებაში განხილული და გაანალიზებულია, თუ როგორ იცვლება ადამიანების ცხოვრება ომის დროსა და ომისშემდგომ პერიოდში. როგორ მოქმედებს ომი მათ ფსიქიკაზე, პიროვნებასა და ბედზე.

კვლევის პროცესისთვის საინტერესოა, როგორები იყვნენ პერსონაჟები ომამდე და როგორი სულიერი სამყარო უყალიბდებათ შემდგომ. ომმა, შესაძლოა ადამიანი გაანადგუროს, დაასუსტოს, ან გააძლიეროს. ახალი - დადებითი და უარყოფითი თვისებები შესძინოს. სრულად შეცვალოს საზოგადოების ცხოვრება.

ამ საკითხების გასაანალიზებლად განვიხილავ: ლევან კიტიას ფილმს - „გზაჯვარედინი“ (1991) დიტო ცინცაძის კინოსურათს „ზღვარზე“ (1993); მარტინ სკორსეზეს ფილმს „ტაქსის მძღოლი“ (1976) და მაიკლ ჩიმინოს ნამუშევარს „ირმებზე მონადირე“ (1978).

ამ ფილმებში აშკარადაა ასახული ომში უშუალოდ მონაწილე და ბრძოლის პროცესებში ჩართული ახალგაზრდების მდგომარეობა; ომის პერიოდის რეალობა და პიროვნული, შინაგანი შემდგომი სახეცვლელეობა.

ნაშრომში გავაანალიზებ საკითხებს - უმკლავდებიან თუ არა ისინი პროცესების სიმძაფრეს და ახერხებენ თუ არა, გადარჩენ და გააგრძელონ ცხოვრება.

მედია

11:00- 13:00

მოდერატორი: სოციალური მეცნიერებების დოქტორი,
პროფესორი - ინგა ზოიძე

გურამ ლილუაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საერთაშორისო ურთიერთობებისა და
საერთაშორისო უსაფრთხოების საგანმანათლებლო
სამაგისტრო პროგრამა, I კურსი
ხელმძღვანელი: მასობრივი კომუნიკაციების პროგრამის
დოქტორი - ეკატერინე ჭალაგანიძე
საქართველო, თბილისი

მედიაწიგნიერების მნიშვნელობა საინფორმაციო ომის წარმოებისას

მედიაწიგნიერება არის ინფორმაციის ეფექტიანად
წვდომის, ანალიზის, შეფასებისა და სწორი კომუნიკაციის
უნარი, რომელიც თანამედროვე ცხოვრების პროცესში
მნიშვნელოვნად გვეხმარება. მედიაწიგნიერება ავითარებს
კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, შესაბამისად,
მედიაწიგნიერმა ადამიანმა იცის ინფორმაციის
ეფექტურად დამუშავება. ციფრულ სამყაროში,

სასიცოცხლო როლი ენიჭება მედიაწიგნიერების მნიშვნელობას ყალბი ამბების წინააღმდეგ ბრძოლაში. ყალბი ამბების გავრცელება და მისი პროცენტული მაჩვენებელი დღითიდღე მატულობს, რაც ძირს უთხრის მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბებას, სახელმწიფო ინსტიტუტების შენებასა და ხელს უწყობს საზოგადოების პოლარიზებას. მედიაწიგნიერება გადამწყვეტ როლს თამაშობს ზემოთაღნიშნული საკითხების მოგვარებაში, იგი ინდივიდებს კრიტიკული უნარების აღჭურვილ უყალიბებს და უვითარებს ანალიტიკურ და სიღრმისეულ აზროვნებას. მედიაწიგნიერების მნიშვნელობა და მისი საფუძვლიანი შესწავლა ხაზს უსვამს მის შესაბამისობას საგანმანათლებლო, სოციალურ და ტექნოლოგიურ სივრცეში.

თავის მხრივ, საინფორმაციო ომი გულისხმობს ინფორმაციის გამოყენებას და მანიპულირებას აზრებზე ზემოქმედებისთვის, მოწინააღმდეგეების მოსატყუებლად ან სტრატეგიული უპირატესობის მოსაპოვებლად პოლიტიკური, სამხედრო ან სოციალური თვალსაზრისით. ამავდროულად, მნიშვნელოვანია საკუთარი საინფორმაციო სისტემების დაცვა, პირადი სისტემური ქსელების მონიტორინგისათვის.

საინფორმაციო ომის მეთოდებს მიეკუთვნება:

- ტელევიზიისა და რადიოგადაცემების ჩახშობა;

- დეზინფორმაციის გავრცელება;
- ლოჯისტიკური ქსელების დაბლოკვა;
- მოწინააღმდეგის საკომუნიკაციო საშუალებების მწყობრიდან გამოყვანა;
- სხვა.

ასევე, აუცილებელია განხილვა იმ ინტერდისციპლინური მიდგომებისა, რომლებიც გააუმჯობესებენ დღევანდელ რეალობას, მათ შორის თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მედიაწიგნიერების ინტეგრაცია სასკოლო პროგრამებში, ცნობიერების ამაღლების კამპანიები და ალგორითმული გამჭვირვალობის მოდულები ერთ-ერთი სერიოზული ნაბიჯი იქნება ეფექტიანი შედეგის მისაღწევად.

კვლევის მეთოდოლოგიის ფარგლებში, კვლევა ეფუძნება სოციალურ კონსტრუქციონიზმს, რომლის მიხედვითაც, რეალობა სოციალური კონტექსტის მიხედვით კონსტრუირდება და განისაზღვრება მედიის, კულტურისა და საზოგადოებრივი დისკურსის გავლენით. სოციალური კონსტრუქციონიზმის პრიზმიდან მედიაწიგნიერება განიხილება არა მხოლოდ როგორც უნარი, არამედ როგორც პროცესის ნაწილი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ინდივიდის მიერ ინფორმაციის აღქმასა და საზოგადოებაში მის ინტეგრაციასთან. ეს მიდგომა საშუალებას გვაძლევს

გავაანალიზოთ, როგორ ფორმირდება და ვრცელდება დეზინფორმაცია და როგორ შეიძლება მედიაწიგნიერების მეშვეობით საზოგადოების მედეგობის ამაღლება.

საკვანძო სიტყვები: მედია წიგნიერება, დეზინფორმაცია, პროპაგანდა, საინფორმაციო ომი, ყალბი ამბები.

თათია კოკობინაძე, მარიამ ვეკუა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტი, ჟურნალისტიკის საბაკალავრო
საგანმანათლებლო პროგრამა, მესამე კურსი
ხელმძღვანელი: ნინო მინდიაშვილი ფილოლოგიის
დოქტორი, პროფესორი.
საქართველო, თბილისი

**აფხაზეთის კონფლიქტის რეპრეზენტაცია ქართულ
პრესაში**

(გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1992 წელი)

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულიდან
საქართველოში გარდამტეხი პერიოდი იწყება, საბჭოთა

კავშირის დაშლამ სრულიად ახალი გარემო და ვითარება შექმნა, რაც განპირობებული იყო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული კატაკლიზმებით.

პოლიტიკურ ვითარებას განსაკუთრებით ართულებდა რუსეთის მიერ ინსპირირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები თუ სამოქალაქო დაპირისპირება.

ქართული საზოგადოებაში ნიჰილისტურ განწყობას არასტაბილური გარემო და ტრავმული მოვლენები ქმნიდა, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა ისედაც რთულ გარემოს.

რუსეთის მიერ ინსპირირებული ე. წ. აფხაზეთის კონფლიქტი ახლადშექმნილი ქართული სახელმწიფოსთვის ურთულესი გამოწვევა იყო, საზოგადოება ვერ აღმოჩნდა მზად ღირსეული წინააღმდეგობის გასაწევად, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ სამშობლოს სადარაჯოზე მყოფი ახალგაზრდები, პატრიოტული სულისკვეთებითა და ეროვნული იდეებით გამსჭვალულნი, საკუთარი ინიციატივითა და სურვილით მიდიოდნენ ფრონტის წინა ხაზზე სამშობლოს დასაცავად.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში გამოდიოდა არაერთი პერიოდული ორგანო, რომლებშიც სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება მახვილდებოდა აფხაზეთის კონფლიქტზეც.

ჩვენი კვლევის ფერგლებში შევისწავლეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, საკვლევ პერიოდად განვსაზღვრეთ 1992 წელი, ჩვენი მიზანი იმის წარმოჩენაა, თუ როგორ აისახა აფხაზეთის კონფლიქტი ქართულ პერიოდულ პრესაში, რა ინტენსივობითა და რაკურსებით განიხილებოდა და შუქდებოდა აღნიშნული საკითხები და რამდენად მოხდა პოლიტიკური საკითხების რეპრეზენტაცია.

განხილული მასალა იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ 1992 წლის „საქართველოს რესპუბლიკაში“ სხვადასხვა რაკურსით აისახა აფხაზეთის კონფლიქტი. თუმცა განსაკუთრებული ინტენსივობით საკითხი არ განიხილება, აღსანიშნავია ისიც, ნაკლებად არის წარმოდგენილი ომის ქრონიკები თუ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები.

მეგი ჯომიდავა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო
უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა,
I კურსი

ხელმძღვანელი: - მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი - ეკატერინე ჭალაგანიძე
საქართველო, თბილისი

მედიის კაპიტალი: კორპორატიული ძალა და კომერციალიზაციის პარადოქსი

თანამედროვე მასმედიის პოლიტიკური ეკონომია განისაზღვრება კორპორატიული ძალაუფლების კონცენტრაციითა და კომერციალიზაციის მზარდი ხასიათით მედიაინდუსტრიაში. მედიაკომპანიების საკუთრების ფორმები, ფინანსური კაპიტალის დომინირება და რეკლამაზე დამოკიდებულება ჟურნალისტიკის სარედაქციო თავისუფლებას მნიშვნელოვნად ზღუდავს. ამ პროცესში, დამოუკიდებელი რედაქციული პოლიტიკა ხშირად მოდიფიცირდება ან სულაც ქრება კომერციული ინტერესების საპირწონედ, რაც კრიტიკული და მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას ზღუდავს.

კორპორატიული გავლენა განსაზღვრავს როგორც მედიაპროდუქტების შინაარსს, ასევე, ჟურნალისტური ორგანიზაციების ფინანსურ მდგრადობასაც. მედიაკონგლომერატების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია ქმნის ოლიგოპოლიურ სტრუქტურას, სადაც რამდენიმე დიდი აქტორი აკონტროლებს ინფორმაციაზე წვდომას. ძალაუფლების მსგავსი კონცენტრაცია ართულებს პლურალიზმის შენარჩუნებასა და ახალი, დამოუკიდებელი მედიაპლატფორმების განვითარებას.

კომერციალიზაციის პარადოქსული დილემა გამოიხატება იმაში, რომ მასმედია, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლად მოიაზრება, ფინანსური მდგრადობის მისაღწევად თავადვე ხდება ბაზრის კანონზომიერებებს დაქვემდებარებული. მედიაკონგლომერატები განსაკუთრებით კონცენტრირდებიან აუდიტორიის პრეფერენციებსა და ზოგად აღქმებზე, რაც ხშირად გულისხმობს პოპულისტური, სენსაციური და ზედაპირული მასალების წარმოებას. შედეგად, საზოგადოებრივი დისკურსი განიცდის ტრანსფორმაციას სიღრმისეული ანალიზის შემცირების ხარჯზე.

ამ კონტექსტში, ჟურნალისტიკის პროფესიული ეთიკა და მისი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, რომელშიც იგულისხმება საზოგადოებისათვის

ინფორმაციის მიწოდება და საჭირობოროტო საკითხების განხილვა, ხდება საექვო, რადგან მედია ხშირად კომერციული ინტერესების გავლენას განიცდის. განსაკუთრებით პრობლემურია კვლევითი ჟურნალისტიკის დაფინანსება, რომელიც მაღალი ხარჯებისა და ხანგრძლივი სამუშაო პროცესის გამო ნაკლებად მომგებიანი ხდება.

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ მასმედიის პოლიტიკური ეკონომიის ანალიზი ცხადყოფს, რომ ინფორმაციის წარმოება, გავრცელება და შინაარსობრივი ფორმირება მჭიდროდ ურთიერთქმედებს ფინანსურ დივიდენდებთან. კორპორატიული ძალაუფლება იზრდება, ხოლო მედიის საზოგადოებრივი ფუნქცია სულ უფრო მეტად ექვემდებარება ბაზრის მექანიზმებს. შესაბამისად, კრიტიკული მიდგომა აუცილებელია იმ მოვლენათა შესაფასებლად, რომლებიც მედიასივრცის დემოკრატიულობის, პლურალიზმისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას უკავშირდება.

საკვანძო სიტყვები: მედია, პოლიტიკური ეკონომია, კორპორატიული ძალაუფლება, კომერციალიზაცია, სარედაქციო თავისუფლება, ოლიგოპოლია, პლურალიზმი, ჟურნალისტიკური ეთიკა, ფინანსური მდგრადობა.

მაგდა ჭანიძე

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის
ტელე-რადიო ჟურნალისტიკის I კურსი
ხელმძღვანელი: სოციალური მეცნიერებების დოქტორი
მასობრივ კომუნიკაციებში - ინგა ზოიძე
საქართველო, ბათუმი

ყალბი ამბები და დეზინფორმაცია მედიაში

ყალბი ამბები (fake news) და დეზინფორმაცია (disinformation) XXI საუკუნეში უდიდეს გამოწვევად იქცა. ინფორმაციის ტექნოლოგიების განვითარებისა და სოციალური მედიის გაზრდილი გამოყენების ფონზე, ასეთი ტიპის ცრუ და შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება, რაც გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, პოლიტიკურ პროცესებსა და ზოგადად საზოგადოებრივ განწყობებზე. ამ საკონფერენციო მოხსენების მიზანია განვიხილოთ, როგორ ვრცელდება „ფეიკ ნიუსი“, რა გავლენა აქვს საზოგადოებაზე და როგორ უნდა ისწავლონ ახალგაზრდებმა სანდო ინფორმაციის გარჩევა. როგორ ვრცელდება ყალბი ამბები და როგორ ვლინდება მისი გავლენა საზოგადოებაზე?

ყალბი ამბების გავრცელების გზები: სოციალური ქსელები: სოციალური მედია, როგორიცაა Facebook, Twitter და Instagram, წარმოადგენს „ფეიკ ნიუსის“ ერთ-ერთი მთავარი გავრცელების არხს. სწრაფი და მარტივი

გაზიარების შესაძლებლობა, ხშირად გაუმართავი ინფორმაციის გავრცელების მთავარი მიზეზი ხდება.

მედია: ზოგჯერ მასმედია, არაპროფესიონალური ან განზრახ მცდარი ინფორმაცია, შესაძლოა გახდეს „ფეიკ ნიუსის“ წყარო, რაც აუდიტორიას შეცდომაში შეჰყავს.

ბოტები და ალგორითმები: სოციალური ქსელები ხშირად იყენებენ ბოტებსა და ალგორითმებს, რომლებიც ზრდიან ცრუ ინფორმაციის გავრცელების სიხშირეს.

როგორ უნდა ისწავლოს ახალგაზრდამ სანდო ინფორმაციის გარჩევა?

კრიტიკული აზროვნების განვითარება: ახალგაზრდებმა უნდა ისწავლონ კრიტიკული აზროვნება, რათა შეაფასონ ინფორმაცია და გაარჩიონ ჭეშმარიტი და ტყუილი ფაქტები.

აუცილებელია სწავლის პროცესში ინფორმაცია შევისწავლოთ სხვადასხვა წყაროდან, რათა თავიდან ავიცილოთ ცრუ ინფორმაციის გავლენა.

ინფორმაციის წყაროების გადამოწმება: ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, როგორ გაიგონ თუ რამდენად სანდოა ინფორმაცია და რა სანდოობა აქვს მის წყაროს.

ხშირად, „ფეიკ ნიუსი“ სათავეს იღებს არასანდო საიტებიდან, ამიტომ საჭიროა ინფორმაციის წყაროების გადამოწმება.

ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენება: არსებობს მრავალი ონლაინ ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება ახალგაზრდებს დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების გადამოწმებაში. მაგალითად, ფაქტების შემოწმების ვებ-გვერდები, ალგორითმები და პროგრამები, რომლებიც გვეხმარებიან იმის გაგებაში, არის თუ არა ინფორმაცია სანდო.

მედია განათლება: მნიშვნელოვანი კომპონენტი ახალგაზრდების განათლებისთვის არის მედიაზე სწორი ინფორმაციის მიღება და მისი შერჩევის უნარი.

ყალბი ამბები და დეზინფორმაცია წარმოადგენს დიდ გამოწვევას თანამედროვე საზოგადოებაში. ახალგაზრდების განათლება, კრიტიკული აზროვნების განვითარება და ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება აუცილებელია იმისთვის, რომ გავაცნოთ მათ, როგორ უნდა განასხვავონ სანდო და არასწორი ინფორმაცია. მხოლოდ ამგვარი განათლების მიღებით შეგვიძლია გამოვავლინოთ ყალბი ამბების გავლენა საზოგადოებაზე და მისი უარყოფითი შედეგები.

**Organizing Committee
of the International Student Conference:**

Mamuka Alaphishvili – Acting Rector, Associate Professor

Teimuraz Kezheradze – Doctor of Art History and Theory, Professor

Ermile Meskhia – Doctor of Historical Sciences, Professor

Tea Tsaguria – Head of the Scientific and Publishing Department, Associate Professor

Inga Kuridze – Specialist of the Scientific and Publishing Department

Salome Chikashua – International Relations Coordinator

Magda Chanidze – Batumi Art State University, Faculty of Education, Humanities and Social Sciences, 1st-year student of TV and Radio Journalism

Keso Grdzelidze – Batumi Art State University, Faculty of Education, Humanities and Social Sciences, 1st-year student of Art Studies (Art History and Theory)

Gela Beridze – Head of Administration

Akaki Mukhashavria – IT Manager

Conference Work Schedule

May 23

- 10:00–10:30 – Registration of participants
